

ნეკრესის სამონასტრო ორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური
საფუძვლებისა და ყოფა-ცხოვრების კვლევა არქეოლოგიური მონაცემების
მიხედვით

გიორგი გოგოლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს ბატონ გიორგი გვალას
ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის
მაგისტრანტის გიორგი გოგოლაძის

განცხადება

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი გოგოლაძე

2017

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს ნეკრესის სამონასტრო ორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების, მეურნეობის დარგების, მათი განმაპირობებელი ფაქტორებისა და ყოფა-ცხოვრებითი დეტალების კვლევას არქეოლოგიურ მონაცემების საფუძველზე.

კვლევის აქტუალობა, გამოწვეულია საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებში არსებული ინტერესით ქრისტიანული კულტურის იდეურ-პოლიტიკური საფუძვლებისა და ამ დოქტრინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, სამონასტრო ცხოვრების ნიუანსების მიმართ. ნაშრომი განკუთვნილია როგორც მეცნიერთა ისე საზოგადოების ფართო წრისთვის.

კვლევა ემყარება 2009 წელს საქართველოში, ნეკრესის მუნიციპალიტეტში მდებარე ნეკრესის მონასტერში ჩატარებულ წინასარეაბილიტაციო არქეოლოგიური კვლევის შედეგებს. აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში შესწავლილი იყო სამონასტრო კომპლექსის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაგებობა და სამეურნეო უბანი. კვლევების შედეგად გამოიკვეთა ახალი მონაცემები ამ სამონასტრო ორგანიზაციის სამეურნეო ეკონომიკის დარგების, შემომწირველობითი და საქტიტორო ფინანსური წყაროების შესახებ. ამავე სეზონის არქეოლოგიური მონაცემები გარკვეულ ინფორმაციას იძლევა მონასტრის სამშოს ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების, სამეურნეო საქმიანობასა და რეჟიმის შესახებ შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპზე.

ნაშრომში ასევე განხილულია სამონასტრო ეკონომიკის ისეთი დარგები, რომლებიც ნეკრესის სინამდვილეში, ისტორიული წყაროებისა თუ არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჯერჯერობით დაუდასტურებელია, თუმცა, ამ სამონასტრო ორგანიზაციის ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, ლოგიკურია და დასაშვები. ამ ვარაუდების დადასტურება ან უარყოფა დამოკიდებულია მომავალი არქეოლოგიური კვლევების მონაცემებზე.

ნაშრომი მნიშვნელოვანია ნეკრესის სამონასტრო წეს-განგების წარმოჩენის, ყოველდღიური საქმიანობის, ტრადიციული შინამრეწველობის დარგების პრიორიტეტულობის განსაზღვრის, მონასტრისა და მონასტერს გარე საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების დადგენის მხრივ, აგრეთვე, ზოგადად, შუა საუკუნეების საქართველოში მიმდინარე კულტურულ-ეკონომიკური პროცესების შესახებ ცოდნის გაღრმავების კუთხით.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: შუა საუკუნეები, ნეკრესი, არქეოლოგია, მონასტერი, სამარხი, სტარატიგრაფია, კერამიკა, ეკონომიკა.

Abstract

The aim of this thesis is a research of social-economic base, agriculture spheres, their factors life style details of Nekresi monastery according to archaeological materials.

Actuality of this subject is determined with the interest toward ideological-political principles of Christian culture and monastery life. The thesis is intended for scientist and interested society.

The research relies on the archaeological pre-rehabilitation explores in Nekresi monastery, which was carried out in 2009. In that time there were investigated several important buildings of the monastery and agriculture districts. Those explorations has revealed new details in agriculture economics, donations and finances. In that time they found out particular information about every day life of the brotherhood of Nekresi monastery, their agriculture work and regime during different stages of middle centuries.

In the thesis there is discussion about monastery economic subjects, which still are not approved in historical sources and archaeological materials. Those new materials seem

quite realistic taking into consideration natural-geographic situation of this monastery. These assumptions are depended on the future archaeological researches.

The thesis is important in the way of representation of the monastery life and determining the priorities of traditional cottage industry, also relations between monastery and society. Apart from this, the research describes cultural-economical processes in Georgia during middle centuries.

Thematic key words: middle centuries, Nekresi, archaeology, monastery, burial, stratigraphy, ceramic, economic.